რეგიონალური კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურება

პაშა ბანკი ბაქოში სათავო ოფისის მქონე ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც ოპერირებს აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში. პაშა ბანკი მსხვილ და საშუალო ზომის საწარმოებს სთავაზობს კორპორატიულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებას.

(032) 2 265 000 | pashabank.ge

პაშა ბანკი

ახალი მწვერვალებისკენ. ერთად.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

წინამდებარე პრეზენტაცია შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო პროგნოზებს, რომლებიც ეფუძნება მენეჯმენტის გათვლებს და შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ბანკის ეკონომიკური შედეგები, ბიზნესგეგმები და სტრატეგიები. აღნიშნული პროგნოზები შესაძლოა, უკავშირდებოდეს გარკვეულ რისკებს და მოცემული მომენტისთვის უცნობი მიზეზებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მივიღოთ პროგნოზირებულისგან განსხვავებული შედეგები. ამ სხვაობის გამომწვევი გარემოებები შესაძლოა იყოს (თუმცა არ შემოიფარგლებოდეს): ახალი რეგულაციები, კონკურენტული გარემო, ტექნოლოგიური ცვლილებები და სხვა ფაქტორები. ბანკის არც ერთი თანამშრომელი ან აქციონერი, დირექტორი, ოფიცერი, დაქირავებული თუ დაკავშირებული პირი, მრჩეველი ან/და წარმომადგენელი არ იღებს რაიმე სახის პასუხისმგებლობას ამ პრეზენტაციის ან მისი შინაარსის გამოყენების ან მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხის გამო გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე. შესაბამისად, ბანკის მიერ ან ბანკის სახელით, აქციონერების, დირექტორების, ოფიცრების, თანამშრომლების, წარმომადგენლების მიერ ან/და მათი სახელით არ გაიცემა პირდაპირი ან ირიბი გარანტია წინამდებარე პრეზენტაციაში მოცემული ინფორმაციის და მოსაზრებების სიზუსტესთან, სისრულესთან ან სისწორესთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრეზენტაციაში მოცემული ინფორმაცია ექვემდებარება დაზუსტებას, სისრულეში მოყვანას და ცვლილებას. ინფორმაცია არ შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს, როგორც კლიენტებისთვის სპეციფიკური ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული რჩევა. პაშა ბანკი საქართველო არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი იმ ზიანზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობის გამო. წინამდებარე პრეზენტაცია ან/და მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მიწვევას, რეკომენდაციას ან შეთავაზებას ნებისმიერი პოტენციური კლიენტისთვის და/ან პარტნიორისთვის. აღნიშნული პრეზენტაცია ან/და მისი რომელიმე ნაწილი არ შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე კონტრაქტის ან ვალდებულების საფუძვლად. პაშა ბანკ საქართველოს გააჩნია საავტორო უფლება პრეზენტაციაში არსებულ ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, ან თუ ეს თავისთავად არ არის ცხადი მისი ბუნებიდან გამომდინარე. პაშა ბანკ საქართველოსგან საჭიროა წერილობითი ნებართვა ბანკის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის ან/და ასეთი ინფორმაციის გავრცელების ან კოპირებისთვის. ეს პირობა ვრცელდება ყველა სახის ინფორმაციაზე, განურჩევლად მისი გამოქვეყნების ან გავრცელების მიზნისა. პაშა ბანკ საქართველოს კლიენტებს უფლება აქვთ, გამოიყენონ ინფორმაცია მათი პირადი დანიშნულებისთვის. წინამდებარე პრეზენტაციაში ნაჩვენები ფინანსური მონაცემები ამოღებულია ბანკის არააუდირებული ანგარიშებიდან და ფინანსური უწყისებიდან. ის სფეროები, რომლებშიც სამენეჯერო ანგარიშგება შეიძლება განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისგან, შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. შესაბამისად, აუცილებელია კონსულტაციის გავლა პროფესიონალ მრჩევლებთან, რათა სრულყოფილად და დეტალურად იქნას გაგებული აღნიშნული განსხვავებების არსი და პრეზენტაციაში მოცემული დეტალური ფინანსური ინფორმაციის მნიშვნელობა. ქვეთავში “პაშა ბანკის შედეგების მიმოხილვა” ნაჩვენები მონაცემები ეყრდნობა არააუდირებულ გათვლებს.

შინაარსი

PASHA HOLDING

6 PASHA Holding

7 PASHA Insurance

7 PASHA Life

8 PASHA Construction

10 Kapital Bank

10 PASHA Travel

11 PASHA Bank

12 კაპიტალის მოზიდვის მომსახურება – შერჩეული ტრანზაქციები

ქართული საბანკო სექტორის მიმოხილვა

18 საბანკო სექტორის კორპორატიული საკრედიტო პორტფელი

19 საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი ინდუსტრიების მიხედვით

20 ბაზრის სტრუქტურა, ჯამური აქტივები და ვალდებულებები

21 ბაზრის სტრუქტურა, საკრედიტო პორტფელი და სააქციო კაპიტალი

პაშა ბანკი საქართველოს შედეგების მიმოხილვა

24 წმინდა საპროცენტო შემოსავალი

25 საკრედიტო პორტფელის განვითარება ინდუსტრიების მიხედვით

25 საკრედიტო პორტფელის განვითარება ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფების მიხედვით

26 საკრედიტო პორტფელის განვითარება ვადიანობის მიხედვით

26 საკრედიტო პორტფელის განვითარება ვალუტის მიხედვით

27 საკრედიტო პორტფელის განვითარება

პაშა ბანკი საქართველოს პროდუქტები და მომსახურებები

30 სესხები

31 დეპოზიტები

32 სავაჭრო ოპერაციების დაფინანსება

32 სახაზინო ოპერაციები

32 სხვა მომსახურებები

კორპორატიული დაკრედიტება – შერჩეული ტრანზაქციები

CSR აქტივობები და სხვა პროექტები

38 MEETING ROOM - ბიზნეს კონფერენციების ციკლი პაშა ბანკისგან

42 ბიზნეს კაფე

43 პაშა ბანკის CSR და საქველმოქმედო აქტივობები

46 პაშა ბანკი საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის პარტნიორია

48 პაშა ბანკი Spotlight -ის გენერალური სპონსორია

50 პირველი ბანკი საქართველოდან SIBOS-ზე

52 პაშა ბანკი - ობლიგაციების კონგრესის სპონსორია

53 პაშა ბანკი საქართველოში სატელეკომუნიკაციო შეხვედრების TMG 2016-ის სპონსორია

PASHA Holding

PASHA Holding დივერსიფიცირებული საინვესტიციო ჯგუფია, რომელიც წარმოდგენილია საბანკო, სადაზღვევო, დაგროვილი ქონების მართვის, მშენებლობის, ტურიზმის და სხვა სექტორებში. ჯგუფი ძირითადად ახორციელებს საკონტროლო პაკეტების შესყიდვას, თუმცა რიგ შემთხვევებში იგი გვევლინება როგორც მინორიტარული აქციონერი ინდივიდუალური ტრანზაქციების სპეციფიკიდან გამომდინარე. ჯგუფი ჩამოყალიბდა 2006 წლის 1 ნოემბერს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პაშა ჰოლდინგის ჯამური აქტივები დაახლოებით 4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, მისი კაპიტალი კი დაახლოებით 0,8 მილიარდი აშშ დოლარია (აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, გაცვლითი კურსი USD/AZN 1.7707).



PASHA Insurance

PASHA Insurance 2006 წლის დასაწყისში დაფუძნდა და PASHA Holding-ის პირველი წევრია. კომპანია წარმოადგენს სადაზღვევო მომსახურების ყველაზე მსხვილ პროვაიდერს აზერბაიჯანში, რომლის შემოსავალმაც 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 56,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

PASHA Insurance 30-ზე მეტი სახის პროდუქტს სთავაზობს კორპორატიულ და ინდივიდუალურ კლიენტებს.

PASHA Life

2010 წელს PASHA Insurance-ის მომსახურებებს სიცოცხლის დაზღვევის მომსახურება დაემატა და შემდგომში დამოუკიდებელ სადაზღვევო კომპანიად - PASHA Life - ჩამოყალიბდა.

PASHA Life სთავაზობს სიცოცხლის დაზღვევას 18-65 წლამდე ასაკის პირებს. სხვა სერვისებს შორის კომპანიას გააჩნია პრემიუმ კლასის სადაზღვევო პროდუქტი მაღალი რანგის მენეჯერთათვის, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ კომპანიის საქმიანობაში.

PASHA Construction

PASHA Construction წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს დეველოპერულ კორპორაციას აზერბაიჯანში.

PASHA Construction-ის მიერ 2016 წლის ბოლოსთვის დასრულებული პროექტების პორტფელმა 1,180,000 კვ.მ.-ს გადაააჭარბა, ხოლო ამჟამად მშენებლობის პროცესშია 830,000 კვ.მ. ეს მაჩვენებლები მოიცავს სავაჭრო, საცხოვრებელ და საოფისე ფართებს, სასტუმროებს და სხვა დანიშნულების უძრავ ქონებას. განხორციელებულ პროექტებს შორისაა: სასტუმრო Absheron JW Marriott Hotel and Residences, სასტუმრო Four Seasons, სავაჭრო ცენტრი Shuvelan, საცხოვრებელი კომპლექსი Nizami Residence, ბაქოს ბიზნეს ცენტრი, რესტორანი Chinar, ბიზნესცენტრი Port Baku Towers.

Four Seasons Hotel

PASHA Construction

Port Baku Towers

Pik Palace Hotel

Kapital Bank

Kapital Bank (ყოფილი United Universal Bank) შეიქმნა 2000 წელს სამი მსხვილი სახელმწიფო ბანკის გაერთიანების შედეგად: Agro-Investment Bank, Industrial-Investment Bank და Savings Bank.

უნდა აღინიშნოს, რომ მისი, როგორც Savings Bank-ის შთამომავლის, პირველი ფილიალი 1874 წელს გაიხსნა ბაქოში. Kapital Bank უზრუნველყოფს საბანკო მომსახურების ფართო სპექტრს როგორც კორპორატიული, ისე ინდივიდუალური კლიენტებისთვის, თუმცა ის უმთავრესად ფოკუსირებულია საცალო ბიზნესზე. Kapital Bank-ს აზერბაიჯანში ყველაზე ფართო საფილიალო ქსელი გააჩნია.

ბანკის საკრედიტო რეიტინგია BB- Standard & Poor's-ის მიხედვით და Ba3 Moody's Investors-ის მიხედვით.

PASHA Travel

PASHA Travel უზრუნველყოფს სამოგზაურო მომსახურებას კორპორატიული და ინდივიდუალური კლიენტებისთვის. აქ უდიდესი ყურადღება ეთმობა კლიენტთა კმაყოფილებას, რამაც კომპანიის წამყვანი პოზიცია განაპირობა აზერბაიჯანის ბაზარზე.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში PASHA Travel–მა გააფართოვა კომპანიის გლობალურ პარტნიორთა ქსელი, რის შედეგადაც ის თანაბარი წარმატებით სთავაზობს სამოგზაურო პაკეტებს როგორც ეკონომ, ასევე პრემიუმ კლასის მოგზაურობის მსურველებს.

PASHA Travel განსაკუთრებული საიმედო პარტნიორის რეპუტაციით სარგებლობს კორპორატიული მოგზაურობების დაგეგმვა-ორგანიზებაში.

PASHA Bank

პაშა ბანკი დაფუძნდა 2007 წელს. ბანკი ფოკუსირებულია მაღალი დონის საბანკო მომსახურების უზრუნველყოფაზე აზერბაიჯანის სწრაფად ზრდადი კორპორატიული სექტორისთვის.

მისი დაარსების დღიდან პაშა ბანკი სარგებლობს საიმედო პარტნიორისა და საუკეთესო ფინანსური გადაწყვეტილებების უზრუნველმყოფი ორგანიზაციის რეპუტაციით. თითოეული კლიენტის ინდივიდუალურ გარემოებებზე მორგებული საბანკო სერვისებით პაშა ბანკი ხელს უწყობს მათ სტაბილურ ზრდასა და განვითარებას. პაშა ბანკი აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე რესპექტაბელური და საიმედო ფინანსური დაწესებულება აზერბაიჯანში.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიის ფარგლებში პაშა ბანკმა შვილობილი კომპანიის მეშვეობით საქართველოში ოპერირება დაიწყო 2013 წლის თებერვლიდან, ხოლო 2014 წლის დეკემბრიდან – თურქეთში. სამივე ქვეყანაში პაშა ბანკი მსხვილ და საშუალო ზომის საწარმოებს სთავაზობს სრულფასოვან კორპორატიულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებას.

ამით დასრულდა ბანკის გეოგრაფიული გაფართოების პირველი ეტაპი, რომლის მიზანია რეგიონალური ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების ხელის შეწყობა და დაფინანსება.

Standard & Poor’s-ის და Fitch Ratings-ის მიხედვით პაშა ბანკის გრძელვადიანი რეიტინგია ‘BB-’.

პაშა ბანკს მიღებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ჯილდო შემდეგ ნომინაციებში:

- „აზერბაიჯანის საუკეთესო ბანკი“ - Global Finance Magazine, 2016
- „აზერბაიჯანის საუკეთესო ბანკი“ - EMEA Finance Europe Banking Awards, 2015
- “Trade Award” სავაჭრო ოპერაციების დაფინანსების განხრით - Commerzbank AG, 2014
- „საუკეთესო პირადი საბანკო მომსახურება აზერბაიჯანში“ - World Finance Magazine, 2013

PASHA Bank

კაპიტალის მოზიდვის მომსახურება-შერჩეული ტრანზაქციები

მუნიციპალური სერვისები

Market maker / Underwriter
PASHA Bank/Galt & Taggart

GEL 30,000,000

5 წელი

2016
თბილისი, საქართველო

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

GEL 20,000,000

3 წელი

2015
თბილისი, საქართველო

მუნიციპალური სერვისები

Market maker / Underwriter
PASHA Bank/Galt & Taggart

GEL 6,000,000

2 წელი

2015
თბილისი, საქართველო

ტელეკომუნიკაციები

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 40,000,000

3 წელი

2014
ბაქო, აზერბაიჯანი

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 20,000,000

2 წელი

2014
ბაქო, აზერბაიჯანი

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 12,000,000

1 წელი

2014
ბაქო, აზერბაიჯანი

ავეჯის წარმოება

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 10,000,000

1 წელი

2014
ბაქო, აზერბაიჯანი

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker
PASHA Bank

AZN 55,000,000

5 წელი

2013
ბაქო, აზერბაიჯანი

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 12,000,000

3 წელი

2013
ბაქო, აზერბაიჯანი

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 10,000,000

1 წელი

2013
ბაქო, აზერბაიჯანი

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 10,000,000

3 წელი

2013
ბაქო, აზერბაიჯანი

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 5,000,000

5 წელი

2013
ბაქო, აზერბაიჯანი

unileasing

ლიზინგი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 4,000,000

3 წელი

2013
ბაქო, აზერბაიჯანი

Bank of Baku
SIZƏ YAXIN BANKCILIQ

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 10,000,000

3 წელი

2012
ბაქო, აზერბაიჯანი

bakcell

ტელეკომუნიკაციები

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 40,000,000

3 წელი

2011
ბაქო, აზერბაიჯანი

unibank

ფინანსური ინსტიტუტი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 20,000,000

3 წელი

2011
ბაქო, აზერბაიჯანი

unileasing

ლიზინგი

Market maker / Underwriter
PASHA Bank

AZN 5,000,000

1,5 წელი

2011
ბაქო, აზერბაიჯანი

FinansLizing

ლიზინგი

Underwriter
PASHA Bank

AZN 400,000

2 წელი

2010
ბაქო, აზერბაიჯანი

ტალეჰ კაზიმოვი
პაშა ბანკ აზერბაიჯანის გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე

პაშა ბანკი სამჯერ დასახელდა „აზერბაიჯანის საუკეთესო საინვესტიციო ბანკად“ EMEA Finance Magazine-ის მიერ.

“აღნიშნული ჯილდოების მიღება იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვენ ნამდვილად მაღალი ხარისხის მომსახურებას ვუწევთ კლიენტებს და მეტად მოხარული ვართ, რომ ჩვენი მუშაობა კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული საერთაშორისო დონეზე.

პაშა ბანკი ყოველთვის იყო აზერბაიჯანის კაპიტალის ბაზრების მზარდი განვითარების მამოძრავებელი ფინანსური ძალა, რაც უშუალოდ აისახება ჩვენს კლიენტებზე.”- აღნიშნა ტალეჰ კაზიმოვმა, პაშა ბანკ აზერბაიჯანის გენერალურმა დირექტორმა და აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ.

პაშა ბანკმა ოქროს სპონსორობა გაუწია Caspian Energy-ის მიერ თბილისში ჩატარებულ 2014 წლის ფორუმს. ფორუმის სპიკერები იყვნენ სამთავრობო და კომერციული სტრუქტურების წარმომადგენლები.

ცერემონიაზე საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, პაშა ბანკ საქართველოს გენერალურ დირექტორს შაჰინ მამმადოვს “წლის ბანკის” ნომინაციაში გამარჯვება მიულოცა.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, შაჰინ მამმადოვი, პაშა ბანკ საქართველოს გენერალური დირექტორი, ექსპო ჯორჯია, თბილისი, 2014 წლის 14 ნოემბერი

ქართული საბანკო სექტორის მიმოხილვა

საბანკო სექტორის კორპორატიული საკრედიტო პორტფელი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2016 წლის დეკემბერი

საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი ინდუსტრიების მიხედვით

(ლარი ‘000)



1	ვაჭრობა და მომსახურება	27%	5,132,222
2	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება	6%	1,165,640
3	მშენებლობა	5%	962,496
4	ენერგეტიკა	3%	523,568
5	სოფლის მეურნეობა და მეტყევეობა	3%	482,432
6	ტრანსპორტი და კომუნიკაციები	2%	301,020
7	საცალო დაკრედიტება	50%	9,476,358
8	სხვა	4%	858,394

საბანკო სექტორის ჯამური საკრედიტო პორტფელი: 18,902,130

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2016 წლის დეკემბერი

ბაზრის სტრუქტურა, ჯამური აქტივები და ვალდებულებები*

ჯამური აქტივები (ლარი ‘000)



1 საქართველოს ბანკი	33%	10,086,751
2 თიბისი ბანკი	30%	9,038,587
3 ბანკი რესპუბლიკა	7%	2,036,992
4 ვითიბი ბანკი საქართველო	5%	1,532,762
5 პროკრედიტ ბანკი	5%	1,382,088
6 ქართუ ბანკი	4%	1,322,189
7 ბაზისბანკი	3%	925,378
8 პაშა ბანკი	1%	280,713
9 სხვა ბანკები	12%	3,543,865

ვალდებულებები (ლარი ‘000)



1 საქართველოს ბანკი	35%	9,064,131
2 თიბისი ბანკი	29%	7,631,113
3 ბანკი რესპუბლიკა	7%	1,760,990
4 ვითიბი ბანკი საქართველო	5%	1,384,040
5 პროკრედიტ ბანკი	5%	1,203,049
6 ქართუ ბანკი	4%	1,129,927
7 ბაზისბანკი	3%	757,901
8 პაშა ბანკი	1%	179,507
9 სხვა ბანკები	11%	3,060,446

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2016 წლის დეკემბერი

* პაშა ბანკის კონკურენტი კომერციული ბანკები

ბაზრის სტრუქტურა, საკრედიტო პორტფელი და სააქციო კაპიტალი*

საკრედიტო პორტფელი (ლარი ‘000)



1	საქართველოს ბანკი	33%	6,192,723
2	თიბისი ბანკი	31%	5,896,797
3	ბანკი რესპუბლიკა	8%	1,475,234
4	ვითიბი ბანკი საქართველო	5%	964,265
5	ქართუ ბანკი	5%	906,775
6	პროკრედიტ ბანკი	5%	871,729
7	ბაზისბანკი	3%	553,159
8	პაშა ბანკი	1%	96,048
9	სხვა ბანკები	9%	1,977,427

სააქციო კაპიტალი (ლარი ‘000)



1	თიბისი ბანკი	35%	1,407,474
2	საქართველოს ბანკი	26%	1,022,620
3	ბანკი რესპუბლიკა	7%	276,002
4	ქართუ ბანკი	5%	192,261
5	პროკრედიტ ბანკი	5%	179,039
6	ბაზისბანკი	4%	167,477
7	ვითიბი ბანკი საქართველო	4%	148,723
8	პაშა ბანკი	3%	101,205
9	სხვა ბანკები	11%	483,420

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2016 წლის დეკემბერი

* პაშა ბანკის კონკურენტი კომერციული ბანკები

პაშა ბანკი საქართველოს შედეგების მიმოხილვა

წმინდა საპროცენტო შემოსავალი

(ლარი ‘000)



საკრედიტო პორტფელის განვითარება ინდუსტრიების მიხედვით

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი ‘000)



1	ვაჭრობა და მომსახურება	49%	53,525
2	ენერგეტიკა	23%	24,821
3	ფინანსური ინსტიტუტები	12%	13,200
4	ფარმაცია	7%	8,000
5	სამშენებლო მასალები	7%	7,185
6	ტელეკომუნიკაცია	2%	2,634

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი ‘000)



1	ვაჭრობა და მომსახურება	50%	48,637
2	ფინანსური ინსტიტუტები	22%	20,619
3	ენერგეტიკა	15%	14,886
4	სამშენებლო მასალები	9%	7,940
5	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება	4%	3,638

საკრედიტო პორტფელის განვითარება ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფების მიხედვით

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი ‘000)



1	ჯგუფი 1	33%	36,119
2	ჯგუფი 2	17%	18,702
3	ჯგუფი 3	7%	8,000
4	ჯგუფი 4	7%	7,185
5	ჯგუფი 5	6%	6,743
6	ჯგუფი 6	4%	4,513
7	ჯგუფი 7	3%	3,500
8	ჯგუფი 8	3%	3,414
9	ჯგუფი 9	3%	3,231
10	ჯგუფი 10	3%	3,055
11	სხვები	14%	14,903

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი ‘000)



1	ჯგუფი 1	31%	29,928
2	ჯგუფი 2	16%	14,886
3	ჯგუფი 3	9%	8,500
4	ჯგუფი 4	8%	7,940
5	ჯგუფი 5	6%	5,699
6	ჯგუფი 6	5%	5,028
7	ჯგუფი 7	5%	4,586
8	ჯგუფი 8	4%	3,989
9	ჯგუფი 9	4%	3,638
10	ჯგუფი 10	4%	3,500
11	სხვები	8%	8,027

საკრედიტო პორტფელის განვითარება ვადიანობის მიხედვით

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი ‘000)



1 < 1 წელი	7%	4,174
2 1-3 წელი	49%	62,427
3 > 3 წელი	44%	42,764

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი ‘000)



1 < 1 წელი	55%	52,543
2 1-3 წელი	28%	26,697
3 > 3 წელი	17%	16,481

საკრედიტო პორტფელის განვითარება ვალუტის მიხედვით

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი ‘000)



1 GEL	71%	77,959
2 USD	29%	31,404

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი ‘000)



1 GEL	70%	67,039
2 USD	29%	27,984
3 EUR	1%	699

საკრედიტო პორტფელის განვითარება

(ლარი '000)



პაშა ბანკი საქართველოს პროდუქტები და მომსახურებები

სესხები

ვადიანი სესხები

ვადიანი სესხები კლიენტს საშუალებას აძლევს, გააფართოვოს არსებული ბიზნესსაქმიანობა, დაიწყოს ახალი პროექტები, შეიძინოს კაპიტალური აქტივები ან გამოიყენოს სესხი სხვა მიზნებისთვის, რომლებიც საჭიროებს დაფარვის შედარებით გრძელვადიან პერიოდს და როგორც წესი, ითვალისწინებს სესხის მომსახურებას წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით.

საკრედიტო ხაზი

ჩვენ გთავაზობთ თქვენი ბიზნესის მოკლევადიან ფინანსურ საჭიროებაზე მორგებულ საკრედიტო ხაზებს.

საკრედიტო ხაზის ხელმისაწვდომობის პერიოდში მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს, სრულად ან ნაწილობრივ გამოიყენოს საკრედიტო ხაზი წინასწარ დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში. საკრედიტო ხაზის ათვისებული ნაწილის დაფარვის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია, კვლავ გამოიყენოს აღნიშნული სახსრები.

საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მხოლოდ საკრედიტო ხაზის ათვისებულ ნაწილზე ხდება. საკრედიტო ხაზის დაფარვის გრაფიკი შეიძლება მორგებულ იქნას ცალკეული კლიენტის ბიზნესის თავისებურებებზე ისეთი ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა სეზონურობა და ვაჭრობის პირობები.

სესხები ფინანსური ინსტიტუტებისთვის

პაშა ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს სთავაზობს სასესხო პროგრამებს, რათა მათ გააფართოვონ თავიანთი დაფინანსების წყაროები და შეძლონ საბოლოო მომხმარებლის დაკრედიტების გაზრდა.

სინდიცირებული სესხები

აღნიშნული სესხები გაიცემა ორი ან მეტი კრედიტორის მიერ ერთობლივად. ბანკი თანამშრომლობს სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან, რათა უზრუნველყოს განსაკუთრებით მსხვილი მოცულობით დაფინანსება ცალკეული მსესხებლისა, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს კორპორაციის ან მსხვილი პროექტის სახით.

დეპოზიტები

ვადიანი დეპოზიტი

ვადიანი დეპოზიტი ხელმისაწვდომია სხვადასხვა ვადით და ვალუტით. დარიცხული საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა, გამოყენებულ იქნას როგორც დეპოზიტის ვადის ამოწურვისას, ასევე ყოველთვიურად.

მოთხოვნამდე დეპოზიტი

პაშა ბანკი გთავაზობთ დეპოზიტზე საპროცენტო სარგებლის ყოველდღიურ დარიცხვას, თუ მიმდინარე ანგარიშის ბალანსი შეადგენს წინასწარ განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობაზე არანაკლებ თანხას. ეს საშუალებას აძლევს კლიენტს, მიიღოს საპროცენტო შემოსავალი ანგარიშზე არსებულ თანხებზე წვდომის შენარჩუნებით.

სავაჭრო ოპერაციების დაფინანსება

პაშა ბანკი ადგილობრივი და საერთაშორისო ტრანზაქციებისთვის გთავაზობთ სავაჭრო დაფინანსების შემდეგ ინსტრუმენტებს:

- საბანკო აკრედიტივები
- საბანკო გარანტიები
- დოკუმენტური ინკასო

პაშა ბანკის თანამშრომლები გაგიწევენ სრულყოფილ კონსულტაციას სავაჭრო ოპერაციების დაფინანსებასთან დაკავშირებით და დაგეხმარებიან შესაბამისი პროდუქტის შერჩევაში თქვენი სპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე.

სახაზინო ოპერაციები

პაშა ბანკი მსხვილ კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს შემდეგ პროდუქტებს:

- ფასიანი ქაღალდების გამოშვება
- სავალუტო გაცვლითი ოპერაციები
- დერივატივები
- სხვა

სხვა მომსახურებები

- საკორესპოდენტო ანგარიშები
- ანგარიშსწორების სერვისი
- მუდმივი საგადახდო დავალება
- ინტერნეტბანკი

კორპორატიული დაკრედიტება
შერჩეული ტრანზაქციები

გორგია

პაშა ბანკი

GEL 3,500,000

1 წელი

2016

თბილისი, საქართველო

ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერი

პაშა ბანკი

GEL 12,500,000

3 წელი

2015

თბილისი, საქართველო

რუსთავის წყალი

პაშა ბანკი

GEL 10,000,000

3 წელი

2015

თბილისი, საქართველო

ჯი პი სი

PASHA Bank

GEL 8,000,000

4 წელი

2015

თბილისი, საქართველო

კრედო

პაშა ბანკი

GEL 3,500,000

1 წელი

2015

თბილისი, საქართველო

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

პაშა ბანკი

GEL 2,000,000

1 წელი

2015

თბილისი, საქართველო

ოქეი
(ევროტექნიკს ჯორჯია)

პაშა ბანკი

USD 1,500,000
3 წელი

2015
თბილისი, საქართველო

სვის კაპიტალი

პაშა ბანკი

USD 1,000,000
1 წელი

2015
თბილისი, საქართველო

ალტა

პაშა ბანკი

USD 1,000,000
2 წელი

2015
თბილისი, საქართველო

სს. საქორგგაზი

პაშა ბანკი

USD 13,500,000
2 წელი

2014
თბილისი, საქართველო

კავკასუს ონლაინი

პაშა ბანკი

USD 10,000,000
5 წელი

2014
თბილისი, საქართველო

სოკარ ჯორჯია გაზი

პაშა ბანკი

USD 2,600,000
1 წელი

2014
თბილისი, საქართველო

სმარტ რუსთაველი

პაშა ბანკი

USD 2,500,000

5 წელი

2014

თბილისი, საქართველო

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “ბი.აი.ჯი”

პაშა ბანკი

USD 1,500,000

3 წელი

2014

თბილისი, საქართველო

სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი

პაშა ბანკი

GEL 1,000,000

1 წელი

2014

თბილისი, საქართველო

სმარტ რითეილი

პაშა ბანკი

USD 1,500,000

3 წელი

2013

თბილისი, საქართველო

CSR
აქტივობები და სხვა პროექტები

MEETING ROOM - ბიზნეს კონფერენციების სერია პაშა ბანკისგან

MEETING ROOM - ეს არის პაშა ბანკის პროექტი - სხვადასხვა ინდუსტრიაზე ფოკუსირებული ბიზნეს კონფერენციების ციკლი, რომელიც ქმნის პლატფორმას აღნიშნული სფეროების წარმომადგენლებისთვის იდეების და სასარგებლო გამოცდილების გასაზიარებლად.

სასტუმროების დეველოპმენტი საქართველოში - პაშა ბანკის პირველი კონფერენცია MEETING ROOM-ის ფარგლებში

MEETING ROOM - ის ფარგლებში პაშა ბანკმა პირველ კონფერენციას 25 მაისს სასტუმრო Radisson Blu Iveria-ში უმასპინძლა. შეხვედრის თემა იყო „სასტუმროების დეველოპმენტი საქართველოში.“

MEETING ROOM
Radisson Blu Iveria Hotel, თბილისი,
25 მაისი, 2016

კონფერენცია ჩატარდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და Colliers International-ის მხარდაჭერით.

სპეციალურად მოწვეულმა სპიკერებმა ისაუბრეს შემდეგ თემებზე: სასტუმრო ბიზნესის მიმოხილვა, ტურიზმის დეპარტამენტის მოლოდინი და არსებული ტენდენციები, სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორების ბიზნეს მოდელი და ტიპიური მოთხოვნები, სასტუმრო ბიზნესის დაფინანსების პრაქტიკა და კრიტერიუმები.

ფორუმზე ზემოთჩამოთვლილ თემებზე ისაუბრეს შემდეგმა სპიკერებმა:

- გიორგი ჩოგოვაძე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსი
- მარკ ფინი, Colliers International-ის სასტუმროების და კურორტების საკონსულტაციო განყოფილების უფროსი, UK Office
- გოგა ჯაფარიძე, პაშა ბანკის კომერციული დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი
- გოგა კაპანაძე, აქსისის გენერალური დირექტორი
- კონსტანტინე მეგრელიშვილი, ალიანს ჯგუფის ბიზნესის განვითარების დირექტორი

ფორუმის მოდერატორი იყო გიორგი შარაშიძე, Georgia Today-ის რედაქტორი და გენერალური დირექტორი.

“2013 წლიდან საქართველოში არაერთ ბიზნეს სექტორს ვემსახურებით და მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტულია სასტუმრო ბიზნესი.

ჩვენი სურვილია, ხელი შევუწყოთ აღნიშნული სფეროს განვითარებას, რადგან ცხადად ვხედავთ მის მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. ჩვენი მიზანია, აქტიურად ჩავერთოთ ადგილობრივი და რეგიონალური ეკონომიკური განვითარების პროცესში მსხვილი პროექტების დაფინანსების გზით.“ - განაცხადა შაჰინ მამმადოვმა, პაშა ბანკის გენერალურმა დირექტორმა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ.

“იმ ფონზე, როდესაც ყოველთვიურად სულ უფრო მეტი საერთაშორისო მოგზაური სტუმრობს ჩვენს ქვეყანას, როდესაც უფრო მეტი სასტუმრო იხსენება საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და კურორტზე, ამ თემაზე მრავალმხრივი დისკუსიის არსებობა და, რაც მთავარია, კერძო სექტორის ჩართულობა ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის განვითარების საკითხებში ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზეზით ჩაერთო ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაცია პროექტში MEETING ROOM. როგორც იცით, წელს იანვარ-აპრილის პერიოდში საქართველოს 1,596,916 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15.4%-ს შეადგენს.” - განაცხადა გიორგი ჩოგოვაძემ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსმა.

გიორგი ჩოგოვაძე,
საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსი
Radisson Blu Iveria Hotel, თბილისი,
25 მაისი, 2016

განახლებადი ენერგიის განვითარება საქართველოში - პაშა ბანკის მეორე კონფერენცია MEETING ROOM-ის ფარგლებში

6 დეკემბერს სასტუმრო რედისონში პაშა ბანკის პროექტის MEETING ROOM-ის ფარგლებში გაიმართა რიგით მეორე ბიზნეს-კონფერენცია, რომელიც ამჯერად დაეთმო საქართველოში განახლებადი ენერგიის განვითარებას ჰიდროელექტროსადგურების მაგალითზე.

კონფერენცია ჩატარდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ESCO) და საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მხარდაჭერით.

MEETING ROOM-ის ამ შეხვედრამ უმასპინძლა ენერგეტიკის სექტორში დასაქმებულ და ასევე ამ სფეროთი დაინტერესებულ მხარეებს. შეხვედრაზე განიხილეს აღნიშნული სექტორის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა: ენერგეტიკული და სატარიფო პოლიტიკა; ჰიდროელექტროსადგურის ფინანსირებისთვის ძირითადი მოთხოვნები და საშუალებები; კერძო სექტორის გამოცდილება და გამოწვევები; ბიზნეს ეთიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა ჰიდროელექტროსადგურის განვითარების პროცესში.

ფორუმზე ზემოთჩამოთვლილ თემებზე ისაუბრეს შემდეგმა სპიკერებმა:

- მარიამ ვალიშვილი - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე
- ქეთი სანდროშვილი - ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ESCO) საერთაშორისო და ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი
- გიორგი ფანგანი - საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი
- გოგა ჯაფარიძე - პაშა ბანკის კომერციული დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი
- რადოსლავ დუდოლენსკი - „ჰიდროლეას“ აღმასრულებელი დირექტორი
- გიორგი აბრამიშვილი - “Energy Solutions”-ის დამფუძნებელი
- რონი სოლბერგი -„აჭარისწყალი ჯორჯიას“ აღმასრულებელი დირექტორი

ფორუმის მოდერატორი იყო ქეთი სანდროშვილი.

“6 დეკემბერს ჩვენ კვლავ შევიკრიბეთ MEETING ROOM-ის ფარგლებში, სადაც ამჯერად განვიხილეთ საქართველოში განახლებადი ენერგეტიკის განვითარება ჰიდროელექტროსადგურების მაგალითზე. ჩვენ 2013 წლიდან ვთანამშრომლობთ ეკონომიკის მრავალ სექტორთან. ენერგეტიკა ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. ვიმედოვნებთ, რომ კონფერენცია ინფორმატიული იყო ენერგეტიკის სექტორით დაინტერესებული ინვესტორებისთვის. MEETING ROOM-ის პირველი კონფერენციის წარმატების შემდეგ ჩვენ მეტად მოტივირებული ვართ გავაგრძელოთ კონფერენციათა სერია და ვგეგმავთ 2017 წელს კიდევ ორი შეხვედრის მოწყობას.“ – განაცხადა გოგა ჯაფარიძემ, პაშა ბანკის კომერციულმა დირექტორმა და დირექტორთა საბჭოს წევრმა.

შაჰინ მამმადოვი, პაშა ბანკ საქართველოს გენერალური დირექტორი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე,
MEETING ROOM
Radisson Blu Iveria Hotel, თბილისი,
6 დეკემბერი, 2016

ბიზნეს კაფე

2015 - 2016 წლებში პაშა ბანკის ექსკლუზიური მხარდაჭერით საკონსულტაციო კომპანია ინსორსის მიერ ინიცირებული პროექტის - „ბიზნეს კაფეს“ შვიდი შეხვედრა გაიმართა.

ბიზნეს კაფე, Rooms Hotel Tbilisi, 29 ივნისი, 2016

პროექტის მიზანია სხვადასხვა კომპანიის მენეჯერების შეხვედრების ორგანიზება, სადაც ისინი შეძლებენ წინასწარ განსაზღვრულ საკითხებზე საკუთარი გამოცდილების და ცოდნის ერთმანეთთან გაზიარებას.

ბიზნეს კაფეს ფორმატის შეხვედრები საქართველოში პირველად ტარდება და ემსახურება ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესების და სიახლეების განხილვას. ყოველ შეხვედრას ესწრება საშუალოდ ოცამდე სტუმარი და სპეციალურად მოწვეული მოდერატორი, რომელიც წარმართავს შეხვედრის მსვლელობას და ამავდროულად საკუთარ გამოცდილებასაც უზიარებს სტუმრებს.

ბიზნეს კაფეს შეხვედრების მოდერატორებს შორის იყვნენ:

- ლადო გურგენიძე, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ამჟამად „ლიბერთი ბანკის” სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე - “აზრები მენეჯმენტსა და ლიდერობაზე”
- გიორგი ქადაგიძე, საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი - „ინოვაციების მართვა“
- დავით გოგიჩაიშვილი, “ღამის შოუს სტუდიის” გენერალური მენეჯერი - „ადამიანური რესურსების მართვა“
- ალექსანდრე ჯეჯელავა, საქართველოს განათლების მინისტრი - „ორგანიზაციული კულტურა“
- ანდრო დგებუაძე, ბიზნეს კონსულტანტი - „მენეჯმენტი 3.0 - ანუ უკუღმა წაკითხული MBA-ის წიგნები“
- პაპუნა ტოლიაშვილი, სინერჯი ჯგუფის ხელმძღვანელი და ერთ-ერთი დამფუძნებელი - „წრიული ორგანიზაციული სტრუქტურები“
- თინათინ რუხაძე, კვლევითი-საკონსულტაციო კომპანია “ეისითის” თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი - „ვინ არის მომავლის ლიდერი?“

პაშა ბანკი 2017 წელსაც აგრძელებს აღნიშნული პროექტის პარტნიორობას.

პაშა ბანკის CSR და საქველმოქმედო აქტივობები

პაშა ბანკმა პარტნიორების სახელით 2017 ძირი ქართული ფიჭვის ნერგი დარგო

პაშა ბანკმა 2017 წელი გამორჩეულად მიულოცა თავის პარტნიორებს და მათი სახელით 2017 ძირი ქართული ფიჭვის ნერგი დარგო. აღნიშნული ნერგები ბორჯომის მახლობლად 2008 წლის აგვისტოში დამწვარი 260 ჰექტარი ტყის აღდგენითი სამუშაოების ფარგლებში დაირგო.

“ჩვენი პარტნიორებისთვის გამართულ წინასაახალწლო მიღებაზე, განვაცხადეთ, რომ 2017 წელს განსაკუთრებულ ყურადღებას “მწვანე პროექტებს” დავუთმობთ. მომავალი წლისთვის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გარემოსთვის სასარგებლო არაერთ აქტივობას ვგეგმავთ. ამ ეტაპზე, სიხარულით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პარტნიორებისთვის 2,000 სახელობითი ხე დავრგეთ, რასაც სიმბოლურად კიდევ 17 დავუმატეთ.” - განაცხადა პაშა ბანკის გენერალურმა დირექტორმა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, შაჰინ მამმადოვმა.

“იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პარტნიორები საახალწლო საჩუქრით კმაყოფილი დარჩებიან. ამ პროექტის შედეგად თითოეულ მათგანს აქვს მონაწილეობა მიღებული ულამაზესი ტყის რეაბილიტაციაში. პროექტის განხორციელებაში დაგვეხმარა კომპანია “Treepex”, რომელიც აქტიურად მუშაობს “მწვანე პროექტების” მიმართულებით და ბევრი უკვე იყენებს მათ სპეციალურ აპლიკაციას ხეების დასარგავად.” - თქვა პაშა ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა, ანანო ქორქიამ.

2017 წელს ბანკი აქტიურად გეგმავს ე.წ. „მწვანე პროექტების“ ინიცირებას და განხორციელებას.

ქართული ფიჭვის ნერგი, ბორჯომის მიმდებარე ტერიტორია, 2016

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული აქტივობა

2016 წელს პაშა ბანკმა ქალთა საერთაშორისო დღე ტრადიციულად განსხვავებული ფორმით მიულოცა თავის კლიენტებს და პარტნიორებს: ბანკმა მათი სახელით ქალთა საინფორმაციო ცენტრში გადარიცხა თანხა, რომელიც სრულად მოხმარდა ქალთა უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს.

პაშა ბანკის დაფინანსებით სოციალურად დაუცველ და წარჩინებულ სტუდენტებს ტრენინგი ჩაუტარდათ

2016 წელს პაშა ბანკის დაფინანსებით თბილისის ჰიპო ფონდმა და ინტელექტის და განათლების საერთაშორისო სკოლამ ISIE სოციალურად დაუცველი და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის ერთდღიანი გასვლითი ტრენინგი ჩაატარა.

სპეციალურად ტრენინგისთვის მოწვეულმა სპიკერებმა ისაუბრეს ისეთ თემებზე, როგორიცაა: პროექტების წერა, მარკეტინგი და ეფექტური კომუნიკაცია, მოხალისეობა და არაფორმალური განათლება.

ტრენინგის მიზანი იყო სტუდენტებისთვის საინტერესო თემებზე გამოცდილების გაზიარება და საბაზისო ინფორმაციის მიწოდება, ასევე მათი ინტეგრაცია და ურთიერთობა არაფორმალურ გარემოში. მონაწილეების შერჩევა აპლიკაციების საფუძველზე მოხდა.

პროექტის მხარდამჭერებს შორის იყვნენ: თბილისის მერია, Wehelp.ge, Generations For Peace,Tbilisi life.

საღდგომო და საახალწლო ქველმოქმედება

2016 წელს პაშა ბანკმა თავის კლიენტებს და პარტნიორებს აღდგომის დღესასწაული ტრადიციულად საქველმოქმედო აქტივობით მიულოცა. გასული წლის მსგავსად ბანკმა მათი სახელით თბილისის SOS ბავშვთა სოფელში გადარიცხა თანხა, რომლითაც დაიფარა იქ მცხოვრები ყველა აბიტურიენტის ინგლისურ ენაში მომზადების მთელი წლის ხარჯი.

2015 წელს პაშა ბანკმა 10 000 ლარის ოდენობის თანხა გადარიცხა ფონდში "პირველი ნაბიჯი საქართველო". აღნიშნული თანხა მოხმარდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების და მოზარდების სწავლა-განათლებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

2015 წლის 26 დეკემბერს პაშა ბანკმა „პირველ ნაბიჯ საქართველოს" გამორჩეულად მიულოცა ახალი წელი: ბანკმა ფონდს საჩუქრად გადასცა რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატი „არჩევანი" (2015, შერეული ტექნიკა, აბრეშუმი, 50x50სმ) მისი პირდაპირი ან აუქციონის გზით რეალიზაციის უფლებით.

რუსუდან ფეტვიაშვილი, „არჩევანი", 2015
შერეული ტექნიკა, აბრეშუმი, 50x50სმ

ნახატის გაყიდვიდან მიღებული თანხა სრულად მოხმარდა აღნიშნული ფონდის ბენეფიციარებს - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების და ახალგაზრდების სწავლა-განვითარებას.

პაშა ბანკი საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის პარტნიორია

ბიზნეს ფორუმი „საქართველოს ეკონომიკა: პერსპექტივები და გამოწვევები“, Radisson Blu Iveria Hotel, თბილისი, 20 მარტი, 2017

2017 წლის 20 მარტს სასტუმროში „რედისონ ბლუ ივერია“ „ბია“-ს ორგანიზებით და პაშა ბანკის პარტნიორობით გაიმართა საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი სახელწოდებით - „საქართველოს ეკონომიკა: პერსპექტივები და გამოწვევები“. ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოს ეკონომიკის და რეგიონის საკითხებით დაინტერესებული ინვესტორები, ბიზნესმენები, მთავრობის წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციები. აქ ძირითადად განიხილეს ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკის პერსპექტივები და გამოწვევები.

ფორუმის ფარგლებში გაიმართა Shop Fest და B2B შეხვედრები. წინასწარ დაგეგმილ B2B შეხვედრებზე ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები გაეცნენ პოტენციურ უცხოელ ინვესტორებს, აქ მოხდა პროექტების წარდგენა ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, ასევე ახალი საექსპორტო არხების მოძიება და ბიზნეს ურთიერთობების დამყარება.

ფორუმი სიტყვით გახსნა საქართველოს ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. საქართველოს კორპორატიული და საინვესტიციო ბაზრის სპეციფიკაზე ისაუბრა პაშა ბანკის დირექტორმა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ შაჰინ მამმადოვმა. სპიკერებს შორის ასევე იყვნენ:

- გიორგი ჩერქეზიშვილი - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
- ზურაბ ალავიძე - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი
- ბრუნო ბალვანერა - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში
- მერსი ტემბონი - მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში

უცხოეთიდან მოწვეულმა სპიკერებმა ისაუბრეს საკრედიტო რეიტინგებზე, ქონების მართვის ძირითად საკითხებზე და ვენჩურულ კაპიტალზე.

„პაშა ბანკი საინვესტიციო ჯგუფის პაშა ჰოლდინგის ნაწილია და 2013 წლიდან ოპერირებს საქართველოში. ჩვენ მსხვილ და საშუალო ზომის საწარმოებს კორპორატიულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურებას ვთავაზობთ აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში. აქედან გამომდინარე ჩვენი მხრიდან აღნიშნული ფორუმის მხარდაჭერა და მასში მონაწილეობა ორმაგად მნიშვნელოვანია: როგორც საკუთარი გამოცდილების გაზიარების კუთხით, ასევე, ახალი პარტნიორების მოძიების მხრივ. მოხარული ვართ, რომ „ბია“ ახორციელებს ასეთ მასშტაბურ ღონისძიებას, რომელიც, გვჯერა, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.“ - განაცხადა შაჰინ მამმადოვმა, პაშა ბანკის გენერალურმა დირექტორმა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ.

ბიზნეს ფორუმი „საქართველოს ეკონომიკა: პერსპექტივები და გამოწვევები“, Radisson Blu Iveria Hotel, თბილისი, 20 მარტი, 2017

პაშა ბანკი Spotlight-ის გენერალური სპონსორია

პაშა ბანკი 2015-2016 წლებში ჩატარებული მთავარი მარკეტინგული ღონისძიების Spotlight გენერალური სპონსორი იყო.

Spotlight 2013 წლიდან ტარდება და აქ ქართველი მარკეტერები და სხვა პრაქტიკოსი პროფესიონალები მსმენელს საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ.

2015 წელს გაიმართა პაშა ბანკის მიერ ინიცირებული პროექტის - Spotlight Marketing Library პრეზენტაცია, რომელიც განხორციელდა Spotlight-სა და თბილისის მედიათეკასთან ერთად. პროექტის მიზანია ერთ კომფორტულ სივრცეში მოუყაროს თავი მარკეტინგის, ბრენდინგის, PR და სხვა მომიჯნავე დარგების თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურას და გახადოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი მსურველისთვის.

„ჩვენ ნათლად ვხედავთ Spotlight-ის მნიშვნელობას ადგილობრივი ბიზნესსაქმიანობის განვითარების და პროფესიონალიზმის ამაღლების კუთხით. შესაბამისად, გადავწყვიტეთ აღნიშნული პროექტის გენერალური სპონსორობა. უფრო მეტიც, ჩვენ მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერით არ შემოვიფარგლეთ და ძალიან სასარგებლო და საინტერესო პროექტი წარვადგინეთ თბილისის მედიათეკასა და Spotlight-თან ერთად. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, მარკეტინგის მიმართულებით ლიტერატურა მარტივად ხელმისაწვდომი არ არის, გადავწყვიტეთ, ამ სფეროთი დაინტერესებულ ნებისმიერ მსურველს მივცეთ საშუალება, ისარგებლოს თანამედროვე პროფესიული ლიტერატურით Spotlight Marketing Library-ში.“- აღნიშნა ანანო ქორქიამ, პაშა ბანკის PR და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსმა.

Spotlight,
Radisson Blu Iveria Hotel, თბილისი,
10 სექტემბერი, 2016

2016 წელს პაშა ბანკმა Spotlight Marketing Library-ის 50-ზე მეტი ახალი წიგნი გადასცა. Spotlight-ის სტუმრებს ჰქონდათ საშუალება, სპეციალურ სტენდთან დარეგისტრირებულიყვნენ მედიათეკის აბონემენტებზე, რომლებიც პაშა ბანკისგან საჩუქრად გადაეცათ.

2015 წლის 6 დეკემბერს, თბილისის მედიათეკაში გაიმართა ფორვარდის შეხვედრა, სადაც ფორვარდელ მარკეტერებს პაშა ბანკისგან გადაეცათ Spotlight Marketing Library-ის ერთწლიანი აბონიმენტი. ამით კლუბის წევრებს საშუალება მიეცათ, ეწვიონ თბილისის მედიათეკას და წაიკითხონ Spotlight Marketing Library-ის წიგნები მისამართზე: ჭავჭავაძის გამზ. 76, ვაკის პარკი.

ამას გარდა, პაშა ბანკი აქტიურად თანამშრომლობს Marketer-თან ისეთ პროექტებზე, რომლებიც ქვეყანაში პროფესიულ განათლება-განვითარებას ემსახურება. ასეთ პროექტებს შორისაა ბიზნეს რუბრიკა marketer.ge-ზე, სადაც თავსდება ქართულ ენაზე ნათარგმნი სტატიები ჟურნალიდან Harvard Business Review და მკითხველები ეცნობიან ანალიტიკური ხასიათის ინფორმაციას საერთაშორისო ბიზნეს სიახლეებზე.

პირველი ბანკი საქართველოდან SIBOS-ზე

2016 წლის 26-29 სექტემბერს პაშა ბანკმა მეექვსედ მიიღო მონაწილეობა SIBOS-ში, SWIFT-ის საერთაშორისო ოპერაციების სემინარში. აღნიშნულ კონფერენციაზე დასწრებით პაშა ბანკმა ხაზი გაუსვა მის საერთაშორისო საფინანსო სექტორში მონაწილეობის დიდ ინტერესს და აქტიურად ჩაერთო დებატებში ანგარიშგების თანამედროვე პრაქტიკისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ.

SIBOS, სინგაპური
12-15 ოქტომბერი, 2015

SIBOS წარმოადგენს SWIFT–ის (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication) მიერ ორგანიზებულ საბანკო და საფინანსო სემინარს, რომელიც ყოველწლიურად ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში. 2016 წლის სექტემბერში SIBOS-ის ყოველწლიური შეხვედრა ჟენევაში გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაზე წარმოდგენილნი იყვნენ პაშა ბანკი აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი.

SIBOS მაღალი დონის გლობალური ბიზნეს ფორუმია, რომელზეც განიხილება ფინანსური სექტორისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ანგარიშსწორება, უსაფრთხოება, ნაღდი ფულის მენეჯმენტი და ვაჭრობა. აღნიშნული სფეროს პროფესიონალები სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობენ SIBOS-ს,

SIBOS, ჟენევა
26-29 სექტემბერი, 2016

რათა მონაწილეობა მიიღონ საგამოფენო და საკონფერენციო ნაწილში და გაუზიარონ ერთმანეთს საფინანსო სფეროში მიმდინარე სიახლეები.

“პაშა ბანკი ერთადერთი ბანკია საქართველოდან, რომელიც პაშა ბანკ აზერბაიჯანთან ერთად დაესწრო SIBOS-ს და აქ მიღებული გამოცდილება გაუზიარა თავის კლიენტებს. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა მსხვილ საერთაშორისო ბანკებთან გვეხმარება ჩვენი კლიენტების მაღალი დონის მომსახურებით უზრუნველყოფასა და მხარდაჭერაში მათი ბიზნესის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად.” - აღნიშნა შაჰინ მამმადოვმა, პაშა ბანკ საქართველოს გენერალურმა დირექტორმა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ.

პაშა ბანკი - ობლიგაციების კონგრესის სპონსორია

2016 წლის 16-17 ივნისს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ჩატარდა დსთ-ს, ბალტიის და კავკასიის ქვეყნების ფასიანი ქაღალდების რიგით მე-13 კონგრესი. აღნიშნული ღონისძიების სპონსორი იყო პაშა ბანკი.

კონგრესი 2004 წლიდან იმართება და რეგიონის საფინანსო სფეროს ერთ-ერთი წამყვანი ღონისძიებაა. აქ განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა: რუსეთის, დსთ-ს და კავკასიის ქვეყნების ობლიგაციების შიდა ბაზრების განვითარება, ასევე ევროობლიგაციების ინტეგრირება განვითარებად ბაზრებზე და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხები.

დსთ-ს, ბალტიის და კავკასიის ქვეყნების ფასიანი ქაღალდების რიგით მე-13 კონგრესი Radisson Blu Iveria, თბილისი, 16-17 ივნისი, 2016

კონგრესის სპიკერებს შორის იყვნენ: საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტი არჩილ მესტვირიშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა, გალტ & თაგარტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არჩილ გაჩეჩილაძე, პაშა ბანკ აზერბაიჯანის საინვესტიციო საბანკო მომსახურების დირექტორი ივან უგლიანიცა, პაშა ბანკ საქართველოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი შაჰინ მამმადოვი.

„მოხარული ვართ, რომ ობლიგაციების კონგრესი წელს თბილისში ჩატარდა და პაშა ბანკს მიეცა საშუალება, აქტიურად ჩართულიყო აღნიშნულ ღონისძიებაში. ფასიანი ქაღალდების ემისია და სხვა სახაზინო ოპერაციები ჩვენი ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და საქართველოში ამ კუთხით უკვე გვაქვს წარმატებული გამოცდილება ჩვენს პარტნიორ კომპანიებთან ერთად. ვიმედოვნებთ, რომ ეს კონგრესი დადებითად აისახება რეგიონში საფინანსო სექტორის განვითარებაზე.“ - განაცხადა შაჰინ მამმადოვმა, პაშა ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა.

პაშა ბანკი საქართველოში სატელეკომუნიკაციო შეხვედრების სპონსორია

2016 წლის 26-27 ოქტომბერს გაიმართა ყოველწლიური ორ-დღიანი ღონისძიება TMG 2016 (Telecom Meetings in Georgia), რომელსაც უკვე მეორე წელია პაშა ბანკი უწევს სპონსორობას.

„სატელეკომუნიკაციო შეხვედრები საქართველოში“ 2010 წლიდან ტარდება და მას ყოველწლიურად 100-მდე დელეგატი ესწრება საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის და ევროპის საშუალო და მსხვილი სატელეკომუნიკაციო კომპანიებიდან.

TMG-ს მონაწილეთა შორის იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორები, ინტერნეტ-პროვაიდერები, ქსელის ოპერატორები და სხვადასხვა საკომუნიკაციო აღჭურვილობის მწარმოებლები, მათ შორის: LINX Telecom (ნიდერლანდები), Apelby Communications (ჩეხეთი), PCCW Global (ჰონგ-კონგი), OTEGLOBE (საბერძნეთი), Turkcell Superonline (თურქეთი) და სხვები.

რეგიონის მიმართ მზარდი ინტერესიდან გამომდინარე, აღნიშნული სატელეკომუნიკაციო კომპანიები ყოველ წელს სტუმრობენ „სატელეკომუნიკაციო შეხვედრებს“ ქართულ კომპანიებთან არსებული ურთიერთობების გასამყარებლად და ახალი პარტნიორობის დასაწყებად.

„პაშა ბანკი უკვე მეორე წელია მხარს უჭერს აღნიშნულ ღონისძიებას, რაც კიდევ ერთხელ გამოხატავს ბანკის მზადყოფნას, ხელი შეუწყოს ადგილობრივი ბიზნესის და ეკონომიკის წინსვლას. ვიმედოვნებთ, ეს შეხვედრები შედეგიანი იქნება ქვეყნის სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიის განვითარებისთვის, ჩვენ კი სამომავლოდაც გავაგრძელებთ მსგავსი პროექტების მხარდაჭერას.“ - აღნიშნა გოგა ჯაფარიძემ, პაშა ბანკის კომერციულმა დირექტორმა და დირექტორთა საბჭოს წევრმა.

TMG 2016, Radisson Blu Iveria, თბილისი, 26-27 ოქტომბერი, 2016

საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველო, თბილისი 0108, რუსთაველის 15
ტელ.: +995 322 265 000
ელფოსტა: office@pashabank.ge
pashabank.ge

გოგა ჯაფარიძე
კომერციული დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი
ელფოსტა: goga.japaridze@pashabank.ge

ზვიად ქაჯაია
ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსი
ელფოსტა: zviad.kajaia@pashabank.ge

პაშა ბანკი აზერბაიჯანი
იუსიფ მამადალიევის ქუჩა #13,
ბაქო, აზერბაიჯანი, AZ1005
ტელ.: (+994 12) 496 50 00
ელფოსტა: office@pashabank.az
www.pashabank.az

პაშა ბანკი თურქეთი
მასლაკი, 55-ე ქუჩა #2, 42 მასლაკის ოფისი,
სართული 3/20534398 სარიერი, სტამბოლი,თურქეთი
ტელ.: +90 (212) 345 07 11 – 705 89 00
ელფოსტა: info@pashabank.com.tr
www.pashabank.com.tr

05.06.2017